

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



ორმა კაცხოველი ნესტან სულაგა

## ივანე ჯავახიშვილი და ქართული გალობის მრავალხმიანობის პრობლემა

ქართული მუსიკალური კულტურის შესწავლის საქმეში, ისევე როგორც ქართველმცოდნეობის ფუნდამენტური მეცნიერების სხვა მრავალ სფეროში, განსაკუთრებული წვლილი ივანე ჯავახიშვილმა შეიტანა, რომელმაც 1938 წელს ქართული მუსიკალური აზროვნების უმაღლესი პრობლემების კვლევას ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ მიუძღვა. მონოგრაფიაში შესწავლილია ქართული მუსიკალური სისტემის საკითხები, განხილულია ქართველი და უცხოელ ავტორთა მოსაზრებანი და თეორიები ქართული მუსიკის წარმომავლობისა და რავარობის თაობაზე. ვერც ერთი მკვლევარი, რომელიც ქართული მუსიკალური კულტურის პრობლემათა შესწავლას განზრახავს, გვერდს ვერ აუღვლია ივანე ჯავახიშვილის გაუხუნარ მონოგრაფიას. დიდი მეცნიერის მიერ გამოთქმული შეხედულებანი ქართული გალობის მუსიკალური რაობის, ნეგატიური სისტემის ბერძნულის, სომხურისა და სირიულისაგან განსხვავებულობის შესახებ პროფესიონალ პიზნოლოგ-მუსიკათმცოდნეთა შემდგომი კვლევის საფუძველზე ახალი წყაროების მოძოვების შედეგად კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა. პიზნოგრაფიის მუსიკალური ბუნების სრულყოფილი შესწავლისათვის, მან სწორი მეთოდოლოგიური საფუძველი მოაშუადა.

კვლევის თანამედროვე ეტაპზე, სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული მუსიკის მრავალხმიანობის ორი ძირითადი სახეობაა გამოყოფილი: სააერო ხალხური, რომელიც წინარქისტანთაულია და შიკაქლესიო, სასულიერო მრავალხმიანობა, რომელიც ქრისტიანული რელიგიის გავრცელებიდან მალევე შევიდა ქართულ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში და კანონიკურად იქცა. ქართულმა მრავალხმიანობამ მსოფლიოს სხვა ქვეყნების მუსიკათმცოდნეთა ყურადღებას მოიპყრო და ამჟამად, პრობლემის კვლევა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ინტენსიურად მიმდინარეობს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ საეკლესიო გალობა და საერო სიმღერა, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ხასიათისაა, მათ შორის საერთო ბუნებაა.

მუსიკისმცოდნეობაში დიდი ხანია დადგენილია, რომ მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური აზროვნება და ბუნება ორგანოა: სეროქსიანი, როგორც აქვთ ბერძნებს, რუსებს, არაბებს და სხვა ერებს; 2. მრავალხმიანი, როგორც აქვთ ქართველებს, კორსიკელებს, შოტლანდიელებს, უელსელებს, სკანდინავიის ხალხებს, ისლანდიელებს, ჩრდილოეთ საბერძნეთში იბირუსის მცხოვრებთ და სხვებს. სხვაობას მათ შორის შეინიშნავენ ყველანი, მუსიკალური სმენის მქონენიცა და არმქონენიც. ერთმანეთისაგან განსხვავდება, აგრეთვე, ქართული, სკანდინავიური, შოტლანდიური და სხვა ქვეყნების მრავალხმიანი გალობები. ივანე ჯავახიშვილმა საგანგებო ყურადღება მიაპყრო ქართული ქრისტიანული გალობის მრავალხმიანობის ეროვნულობას და მატერიალურ-წერილობითი ძეგლების საფუძველზე განხილვის საფუძველზე დაასაბუთა, რომ ოგი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ უნდა დამკვიდრებულყოფილ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 437-677].

ქართული საეკლესიო გალობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, თუ თავდაპირველად, როგორი იყო ქართული გალობა, ერთხმიანი, მრავალი სხვა ქვეყნის ქრისტიანულ გალობათა მსგავსად, თუ მრავალხმიანი, როგორც არას ოგი ამჟამად. ცნობილია, რომ ქართული საეკლესიო გალობა, ბერძნულისაგან განსხვავებით, მრავალხმიანია. საზოგადოდ, მრავალხმიანობა ერის სულიერი თვისებაა, ქართველი ერის სულიერობის გამოხატულებაა, რომელიც ქვეყნის ისტორიულმა ვითარებამ გარკვეული სულიერი საწყისების საფუძველზე წარმოშვა და ერის ისტორიულმა მესიერებამ შემოინახა. ქართული გალობისა და სიმღერის მრავალხმიანობა ის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც მანამ იარსებებს, ვიდრე თითო ქართველი ერი იარსებებს. ქართველმა ერმა ოგი უნდა შეინახოს რწმენით, სასოებითა და სიყვარულით.

ქრისტიანულ გალობას, რომელიც საქართველოში პალესტინიდან და ანტიოქიიდან შემოვიდა, აქ მდიდარი და მაღალგანვითარებული მუსიკალური კულტურა დასცადა, რომელიც მკვეთრად ინდივიდუალური იყო და ძლიერად აღმოჩნდა, ვინაიდან მან შეძლო ქრისტიანულ გალობაში ეროვნული სულის, ეროვნული ნიშნების შეტანა. ამასთან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სიმღერისათვის დამახასიათებელი რამდენიმე დამოუკიდებელი კილოს არსებობა შეინიშნება,

რომელთადაც ძირითადია ორი: ქართლ-კახური, ანუ აღმოსავლური, და იმერულ-გურული, ანუ დასავ-

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



ღური. ყოველივე ეს საეკლესიო გაღობაშიც გამოვლინდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ გაღობის გაქარაოვლების, ე.ი. გაძრავალხიანების, პროცესი საქართველოს ყოველი კუთხის ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციის შესაბამისად წელი ტემპით მომდინარეობდა, რის შედეგადაც მივიღეთ მრავალკლონიანი ქართული საეკლესიო გაღობა. „რომელსაც საფუძვლად უდევს ერთიანი მუსიკალური ქართული ფუძე“ (ცაგარია, 1962: 4). კილოვანი გაღობაშიც იგივეა. რაც ხიმღერაში: 1. ქართლ-კახური და 2. იმერულ-გურული. ცხადია, ისინი ერთმანეთსაც განსხვავდებოდნენ, მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტრადიციულად არსებული სხვაობა კანონიკის არ არღვევს.

წინამდებარე სტატიაში მსჯელობა გვექნება ქართული ქრისტიანული გაღობის მრავალხიანობის საკითხთან დაკავშირებული ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრების, მისი კვლევის შემდგომ ეტაპზე გამოვლენილი სახელისა და პერსპექტივის შესახებ. ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“. რომელიც ოთხი კარისაგან შედგება, განხილულია რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა: ხშირი მუსიკა და მუსიკალური ტერმინოლოგია, ხმების ძველ ქართულ წყაროებში დაცული და ხალხში შემორჩენილი სახელები, საკრავიერი მუსიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები, ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფეხურები, ძველი წარმართული, საერო და საეკლესიო მუსიკა და მათ შორის ბრძოლა; მეოთხე კარი მთლიანად ქართული მუსიკისა და მრავალხიანობის წარმოშობა-განვითარების საფეხურების შესწავლისა და კვლევის ეძღვნება. ჩვენთვის, სწორედ, ეს ბოლო საკითხი მნიშვნელოვანი და განხილვის საგანი.

ვიდრე, უშუალოდ ქართული გაღობის მრავალხიანობის ივანე ჯავახიშვილისეულ შეხედულებებზე ვიშჯელებდით. საქაროა წინამორბედ მოღვაწეთა და მუსიკისმცოდნეთა თვალსაზრისის გათვალისწინება. რათა გარკვევს. მეცნიერული კვლევის რა შედეგები დახვდა საკითხის შესწავლის იმ ეტაპზე, როდესაც მუშაობას შეუდგა. ივანე ჯავახიშვილის წინაშე იმთავითვე დისკვა კითხვა, რა დროიდან უნდა განვითარებულიყო მრავალხიანობა საერო მუსიკალურ სისტემაში და როდის უნდა შესულიყო იგი ქრისტიანულ ეკლესიაში, როგორი იყო წარმართული ეპოქის გაღობის ხეიდრითი წილი ქართული ქრისტიანული გაღობის განვითარებაში.

უწინაირი ყოვლისა, დაეიშოწმებთ გაღობის განმარტებას სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულიდან“: „გაღობა არს თვისთებურ უკუე სიტყვისა ჳმად რასამე ტპილად თქმული მადლობად; გაღობა არს ღმრთის მეტყველებისა მადლისა ხედვისა მქონებელ იყოს; გაღობა არს ჳმა-აჯავიანი, შეწყობით ატტყეებული თყინიერ ორღანისა, გინა ორღანისთა და მწყობრითა. გაღობა არს მართლმადიდებლობითა მარ ღმრთის მეტყველება, რომელი თაით თვისთი იწვართიდს შეწირვასა ღმრთისასა სულისა სრულისა ეისამე“ [სულხან-საბა ორბელიანი, 1966: 129] გაღობა ღვთის წინაშე ის დიდი შესაწირია, რომელიც მრევლს საყარალით, რწმენითა და სასოებით აერთიანებს. ამიტომ, საეკლესიო გაღობის ძირითადი არსი საყოველთაობაა.

ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ გამოთქმულ მოსაზრებაზეც. რომლის მხედვით გაღობა წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ გაქართულებულად არის მიჩნეული და გურულ მგაღობელს, გიორგი ჳლაქიონიძეს, ათასერთი ჳრელი გაღობა, ე.ი. მრავალხიანი გამშვენიებული გაღობა სცოდნა [ჯავახიშვილი ივ., 1998: 437-438]. ეს იყო ცნობები ქართული გაღობის მრავალხიანობის შესახებ. მაგრამ ეს არ იყო მეცნიერული კვლევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იოანე ბატონიშვილის შეხედულება ქართული გაღობის წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ შემოღების შესახებ, წერილობითი წყაროების საფუძველზე, ამჟამად სხვაგვარად გაიხსნება.

ივანე ჯავახიშვილმა ქართული ქრისტიანული გაღობის მრავალხიანობის განვითარების საფეხურების შესწავლისას აღნიშნა. რომ გაღობის მრავალხიანობის პრობლემის მეცნიერული კვლევა XIX საუკუნიდან დაიწყო. ამ თვალსაზრისით განხილია XIX საუკუნის 60-იან წლებში დავით მაჩაბლის მიერ გამოთქმული შეხედულებები. რომელმაც ქართული გაღობა ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების დაუკავშირა, ხოლო მისი სრულყოფის დროედ VIII საუკუნე მამონია. მისი სიტყვით, ქართული გაღობა არის საშუალო, ერთი მხრივ, ბერძნული, რომელიც ერთმანეთი იყო და არის და, მეორე მხრივ, იტალიური გაღობებისა, რომელიც არის შეწყობილი მრავალთა ხმათა ერთს ღარშინიად“ (ციტატა დამოწმებულია ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიიდან: [ჯავახიშვილი ივ., 1998: 438-440]. დებულება ქართული მრავალხიანი გაღობის იტალიურთან დაკავშირების ცდა მომდევნო ხანის მკვლევართა დაკვირვებების შედეგად შეიცვალა, რადგან ქართული ქრისტიანული გაღობის სახიანო ძირითადად ქართული საერო სიმღერისა და ქართული წარმართული გა-

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



ლობის მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ განსაზღვრა. მუსიკისმცოდნე დალი დოლიძემ მათი განსხვავება შემდეგნაირად განმარტა: „ქართული მრავალხმიანობა არის კვარტა-კვინტური წყობის მრავალხმიანობა, ხოლო ევროპული მრავალხმიანობის ქვეშ იგულისხმება ტერციული, აკორდული წყობის მრავალხმიანობა, რაც უცხოა ქართული მრავალხმიანობის ბუნებისათვის. ქართულ კანონიერ გალობას არასოდეს არ განუცდია ევროპული მრავალხმიანობის გავლენა“ [დოლიძე, 2001: 96].

ივანე ჯავახიშვილმა საკმაოდ ვრცლად განიხილა პოლიექტროს კარბელაშვილის შეხედულებანი, რომელმაც საერო სიმღერებისა და სახულიერო გალობის ურთიერთმიმართების პრობლემები საგანგებოდ შეისწავლა და დაასკვნა, რომ ქართულმა ეკლესიამ ქართული წინარექრისტიანული, ანუ წარმართული დღესასწაულებისა და სიმღერების აღმოსაფხვრელად მიმართული ხანგრძლივი ბრძოლის უნაყოფობის შემდეგ თავი დაანება წარმართული სიმღერების დევნას და იზგვარად გამოიყენა, რომ ძველ წარმართულ „ეკლოებს ამოუყენა საქრისტიანო საგლობლოთა სიტყვები (ტექსტი) და ძველი კილო ხელუხლებელი დატოვა“ [კარბელაშვილი, 1898: 10-11]. დავით მაჩაბელმა და პოლიექტროს კარბელაშვილმა მიუთითეს, რომელი საგალობელი რომელი საერო სიმღერიდან შეიძლება განკითარებულიყო. ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ პოლიექტროს კარბელაშვილმა ისეთი სიმღერები მიუთითა, რომლებიც სახულიერო ხასიათის ტექსტებს ემყარებოდა [ჯავახიშვილი აუ., 1998: 44] და ამიტომ დასეა საეკლესიო მართებული კითხვა, რომ შეიძლება ეს სიმღერები წინაუქმო, ანუ სახულიერო საგალობლისგან წარმოქმნილიყო [ჯავახიშვილი ივ., 1998: 442], თუმცა ეს უკანასკნელი თვალსაზრისი თავადაც უმართებულად მიიჩნია.

ივანე ჯავახიშვილმა, ასევე, შეისწავლა დიმიტრი არაყიშვილის თვალსაზრისი ქართული გალობის ქრონოლოგიის პრობლემატიკის შესახებ, რომლის მოსაზრებით, საეკლესიო საგალობლების მრავალხმიანობის დოთარღების ათვლა X საუკუნიდანაა შესაძლებელი. ქართული საგალობლები ტიპოლოგიური თვალსაზრისით მან ევროპულს დაუკავშირა, მაგრამ იმაც აღნიშნა, რომ ქართულ საგალობლებს განვითარების თავისი დამოუკიდებელი გზა ჰქონდა. მის „შესუღლებებს“ განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭებოდა იმის გამო, რომ მან, როგორც ქართული მუსიკის ისტორიკოსმა და თეორეტიკოსმა, არა მხოლოდ ჩიწერა ხალხური სიმღერები, არამედ მუსიკის ისტორიისა და თეორიის პრობლემებზე დაამუშავა. მუსიკათმცოდნისა და კომპოზიტორის ეს შეხედულება წინააღმდეგობას შეუტევს, რადგან, ერთი მხრივ, ქართული მრავალხმიანი გალობა ევროპულს დაუკავშირა, მეორე მხრივ, აღნიშნა, რომ ქართულ გალობას დამოუკიდებელი გზა და გეზი ჰქონდა. არც ეს დოთარღებაა გასაზიარებელი. ქართული მრავალხმიანი გალობის თარიღის განსაზღვრის თაობაზე საუბარი ქვემოთ გვექნება.

ქართული გალობის მრავალხმიანობის გაკვირვებულ შეხედულებას კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე, რომლის განმარტებით: „ათასწლოთი ქართული გალობა ატკბობს ჩვენს სმენას. გალობა იმოთხოვს გვექონდა სამხმინი და არა უნისონური, როგორც აქვთ ბერძნებს და სომხებს“ [ქართული საეკლესიო... 2002: 115]. პატრიარქის ამ სიტყვებში მხოლოდ სრულიად მისაღები და გასაზიარებელი დებულებაა მოცემული, თუმცა დამამტკიცებელი საბუთები არ არის მოხმობილი.

ივანე ჯავახიშვილმა შეაფასა წინამორბედ მკვლევართა შეხედულებების დადებითი და ნაკლოვანი მხარეები, აღნიშნა, რომ მათ ძველი ქართული წყაროები თითქმის არ გამოუყენებიათ, რის გამოც მსჯელობა უმეტესად დამარწმუნებელი არაა და შემოხვევითი ჩანს. ამავე დროს, მათი შეხედულებების გათვალისწინებით განსაზღვრა, რომ „ქართული მრავალხმიანობის ისტორიისა და სადაურბოს საკითხი შესაძლებელია მხოლოდ ყოველმხრივი განხილვითა და ყოველგვარი წყაროების გამოყენებით გამოიყვეს. ამ დროს არც ხმების სახელების ანალიზი უნდა იყოს დავიწყებული, არც ძველებში საგალობლებისა და გალობის შესახებ დაცული ცნობების გაუთვალისწინებლობა შეიძლება, საკრავიერი მუსიკის ტერმინოლოგიაც გამოადგება მკვლევარს და დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, რა თქმა უნდა, თითო საგალობლებისა და ხალხური სიმღერების ავტორებისა და დამახასიათებელი თვისებების ცოდნაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 646]. ივანე ჯავახიშვილმა წყაროებში შემონახულ ცნობებზე დავიწყების საფუძველზე დაასკვნა, რომ შებანება და ხმათა შეწყობა, - ეს ტერმინები ძველ ქართულ წერილობით ძველებში გამოიყენება, ქართულ საეკლესიო გალობაში XI საუკუნეში უკვე ყოფილა მიღებული. მაგრამ იგი საკუთრივ საეკლესიო გალობის მონაპოვრად არ მიიჩნია, არამედ საერო სიმღერიდან შეთვისებულად აღიქვა. რაც შეეხება მრავალხმიანობის სადაურბოს, ი. ჯავახიშვილის აზრით, ქართულ მუსიკას იგი წარმართული ეპოქიდანვე უნდა ჰქონოდა და მომდევნო საუკუნეებშიც უნდა შეენარჩუნებოდა. არსებული მასალის განხილვამ, კრიტიკულად გააზრებამ დიდი მენიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „მრავალხმიანობა ქართული მუსიკის

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



შინაგან განვითარება-წარმატების ნაყოფია“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 664]. მისი მიზანი იყო იმ წერილობითი წყაროების გამოვლენა, აგრეთვე, ხალხში არსებული და შემონახული ზეპირი მონაცემების მოძიება და გათვალისწინება, რომლებშიც ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხებია განხილული. ფაქტობრივად, ივანე ჯავახიშვილის ნაშრომმა დიდი როლი შეასრულა მომდევნო ხანის მუსიკათმცოდნეების სკოლის წარმომადგენლების მათ ქართული გალობის მრავალხმანობის სრულყოფილად შესწავლის საქმეში.

ქართული გალობის მრავალხმანობის კვლევისას უნდა გავთვალისწინოთ მრავალენოვანი პალესტინური სამგალობლო სკოლის მონაცემები და რაობა, რომელიც ბერძნულ-ბიზანტიური, ქართული, სომხური, კობური, ხორელი, სლავური ქვეყნებისა და სხვათა სამგალობლო ტრადიციის შესაძირკველ ვახდა. ყველას აქვს საერთო სამგალობლო ფესვები. მაგრამ, მუხუდავად ამისა, დროთა განმავლობაში ეს საერთო სამგალობლო ტრადიცია ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ძირებს შეერწყა, თითოეულმა თავისი დამოუკიდებელი განვითარების გზა მოძებნა. ოდინდ ისე, რომ ცალკეული ქრისტიანული ქვეყნის სამგალობლო ტრადიციაში შესული ყოველი ცვლილება კანონიკას შეესაბამებოდა. ამათგან ზოგიერთმა, თავდაპირველი სამგალობლო გამოცდილება შეინარჩუნა, რაც ძირითადად თვით ქვეყნის ინდივიდუალური კულტურული მონაპოვრებით იყო განპირობებული. მრავალენოვანი პალესტინური სამგალობლო სკოლიდან ამოიზარდა ბიზანტიური საეკლესიო გალობა. რომელიც თავადვე დაადგა ეროვნული ტრადიციის გზას და მართლმადიდებლური კანონიკური გალობის ერთ-ერთი განმტკიცებელ ჩამოყალიბდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული, სომხური, ასურული გალობები ოდითგანვე ერთხმანი იყო და ასეთადვე დარჩა. X საუკუნემდე რომის ეკლესიასაც ერთხმანი გალობა ჰქონდა.

ქართული საეკლესიო გალობა ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე ერთხმანი უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ვინაიდან გალობის ხასიათიც განსაზღვრა იმ ქვეყნების სამგალობლო პრაქტიკამ. სადაც ქრისტიანობა შემოვიდა, კერძოდ, პალესტინის, ბიზანტიის, სომხეთის ეკლესიების გალობამ, რომელთაგან უმარეკლები პალესტინაა, როგორც აკანნი ქრისტიანობისა.

ივანე ჯავახიშვილმა დასვა საკითხი, თუ როდის შეიძლება ქართული გალობა ბერძნულს დამორეზობა. მან X საუკუნეში უკვე დადასტურებულ ფაქტად მიიჩნია ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმანობა და მიქაელ მადრიკელის ანდერძებ დაეკრძალა სხვადასხვაგვარად განაცხადა: „უკვე მძიველ მადრიკელამდე, ე. ი. X საუკუნემდე, ერთა ქართველთათა“ იყო ხმლისმანი და საგალობლი, როგორც „ბერძნულნი“, ისევე ქართულნიც. ამხარად, ბერძნულთაგან განსხვავებული ქართული შემოქმედება საეკლესიო მუსიკის სფეროში მუთუ საუკუნეზე უწინარესაც ყოფილა“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 598]. განსაკუთრებული მნიშვნელობა მანიჭა გიორგი მცირის პაეოგრაფიულ თხზულებაში დაცულ ცნობას წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ, ვაქცონსილა თთხოცი ობოლი ბავშვის ბერძნული გალობის შესრულების შესახებ ბიზანტიის კეისრის წინაშე. რომელმაც ქართველ წმინდა მკვამრს უთხრა: „განგისწავლიან ბერძნულსა გუარსა ზედა, კეთილო ბერო, შენსა ობოლინი“ [ქველიძე, 1967: 184]; ე. ი. ბიზანტიის იმპერატორმა იცოდა, რომ ქართული და ბერძნული გალობების გვარები სხვადასხვა იყო: ეს სიტყვები უცხოობლად ამტკიცებენ ქართული და ბერძნული გალობის სხვადასხვაობას. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით: „ათონის ქართველი ბერები თავიანთ მონასტერში ქართულსა „გუარსა ზედა“ გალობენ და ის ბერძნული გვარი გალობა, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოასპენისა. პარად და მის საამებლად იყო მოწყობილი“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 600]. ხოლო მიქაელ მადრიკელის ანდერძის სიტყვები: „საუკარგელნი. უკეთუ ერთსა ძლისმანისა ზედა რომელიმე კილო ერთი ორ-გუარად იყოს აღნიშნული, სუ უცხო-განნი, სუცა ურთიერთისა წინააღმდეგომ, რამეთუ რომელიმე მრავლისა ძლისმანისა ერთი კილომ ორგუარად არს მესურად; ხოლო შენ რომელი გინე, ბრძანე, რამეთუ ორივე ქვეშარით არს“ (S-425.27r) - ორხმანობის დადასტურებდა მიიჩნია. „ორ ხმაზე რომ არ იყოს საუბარი, რატომ და რისთვისა უნდა ყოფილიყო ორი პარალელური პასევი ერთი საგალობლისა?“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 600]. მასვე შესწავლელმა, ქართული გალობის მრავალხმანობა ეტაპობრივად უნდა მდგწეულიყო: თავდაპირველად ქართული ქრისტიანული გალობა იყო ერთხმანი, შემდეგ ვახდა ორხმანი, რასაც ადასტურებენ X საუკუნის მონაცემები და ბოლოს გახდა სამხმანი, რაც მოგვიანებით ტერმინოლოგიურად განმარტა იოანე პეტრიწმა - „მხანნი, ფარ, ბაჲ“. ივანე ჯავახიშვილმა საუბრეგოდ იკვლია ქართული გალობის მრავალხმანობის შემადგენელი ხმების რაობა, სახელწოდებები, გამოავლინა წერილობითი წყაროები, რომლებშიც ხმათა სახელწოდებებია დამოწმებული. გამსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბანის“ შესახებ გამოთქმული მოსაზრება. ტერმინი ბაბლურ წარსებში, ოდგორც ივანე ჯავახიშვილმა აღინიშნა, მოსალოდნელი არ იყო, რადგან ებრაული გალობა ერთხმანია, მაგრამ მკვლელობისა ქართულად ბერძნულს დროისათვის უკვე ეს ტერმინი

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



ქართულ თარგმანში დამკვიდრებულია. კერძოდ დასახელებულია ბიბლიური წიგნები [მფ. 2, 62; ნეშტა 5, 13], რომლებშიც გვხვდება „შებანება“, ხოლო ბიბლიურ წყაროთა კვალობაზე ესმოდა, როგორც განმარტებული და გამოყენებულია ძველ ქართულ სავალოებებში, დაეთ გურამიშვილის, ბესიკის პოეტურ ნაწარმოებებში. ნაშრომში შებანება და შესხობა ხმათა პარამონიულად შეწყობისა და შესამების და შებანებულად პარამონიულად შესხობილს, საამოდ შეთანხმებით აყოლებულს ნიშნავდა. შებანება „ბანი“ საგან წარმოქმნილი სახელი-ტერმინია. ამგვარი ახსნა-განმარტების საფუძველზე ი. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ „ბანი“ ბოხი ხმის აღსანიშნავად იყო შემოღებული. მან ყურადღება გაამახვილა სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობაში“ დამოწმებულ ცნობაზე, რომლის მიხედვით ჩანს, რომ „ბანი“ მასაც ისევე ესმოდა, როგორც ივანე ჯავახიშვილმა განმარტა. მანვე აღნიშნა, რომ ქართულ მუსიკალურ ტერმინოლოგიაში „ბანის“ პარალელურად „ბაშიც“ არის დამოწმებული, როგორც ბოხი ხმის აღნიშვნელი. წერილობითი წყაროების საფუძველზე დაასკვნა, რომ თავდაპირველად ბანი გარკვეული ხმის სახელი არ ყოფილა, არამედ საზოგადოდ შებანების, ხმათა შეწყობის აღნიშვნელი. მან ის მნიშვნელობა, რაც შემოდგომში დაეკისრა, ანუ შესამე ხმის აღნიშვნა, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ბანი თანდათანობით დაბალი ხმის სპეციალურ სახელად იქცა. დიდი მეცნიერის ეს მსჯელობა იმისთვის დაეკვირდა, რომ დაეგენახა სამი ხმის არა მხოლოდ სახელწოდებათა არსებობა ქართულ ვალობაში, არამედ ისიც, რომ ქართულმა საეკლესიო ვალობამ მრავალხმიანობა თანდათანობით შეიძინა, ე.ი. ივანე ჯავახიშვილმა ქართული საეკლესიო ვალობის გამრავალხმიანება თანდათანობით პროცესად წარმოადგინა.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ საეკლესიო ვალობაც, როგორც საზოგადოდ ლიტურგია, პალესტინიდან და ანტიოქიიდან შემოვიდა და იშხანად იგი ერთხმინი იქნებოდა, როგორც ეს იმ ქვეყნებში იყო. მაგრამ ეს იშხან არ ნიშნავს, რომ იგი არ განეთარღებოდა და ეროვნულ, ქართულ ხასიათს არ შეიძენდა. ივანე ჯავახიშვილის თანხმად, ქართველი კაცის ფსიქიური წყობა და ვ.ა. ქართული ენის ბუნება. ქართული მუსიკალური მრავალხმიანობის სისტემა პალესტინური და ბერძნული წარადიდან წამოსული ქრისტიანული საეკლესიო ვალობის გაქართველებას უთუოდ მოითხოვდა. ცნობილია, რომ ყოველი ერის წარმომადგენელი გარესამყაროს აღქმის გამოხატვას მშობლიურ ენაზე ყველაზე უკეთ აღწევს. რაც იმას მითითებს, რომ მელოსით გამოხატული რელიგიური განცდა და განწყობაც ყველაზე ნათლად მშობლიური მუსიკალური სისტემით აღიქმება და გადაიხვევა. ქართველი ერი ფრთხილად ეკიდებოდა ყოველივე უცხოურს, რომელსაც მისი სულიერი და ფსიქიური წყობისათვის მიუღებელი იყო და ცდილობდა ეროვნულს შენარჩუნებდა და დამკვიდრებდა, ხოლო საჭირო შემთხვევაში – საუკუნეთა მანძილზე ოფიციალურ დონეზე მიქმნაღული. მაგრამ ერის მეხსიერებაში შემონახული ეროვნული ფენომენის აღორძინებას.

ქართული ქრისტიანული ვალობის მრავალხმიანობის რაობისა და ქრონოლოგიის განსასაზღვრად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა წმ. გრიგოლ ხანძთელის „საწილოწოდ აადგარის“ და ჟამისწირვის ქართულად შესრულებების შესახებ გიორგი მერჩულის მიერ მოწოდებული ცნობები, რომლებიც IX საუკუნის 20-30-იან წლებში გრიგოლის მიერ ვალობის მრავალხმიანობის კანონიკურობის დამადასტურებელ საბუთად შეიძლება გამოგვადგეს [სულაია, 2003: 23-54].

საკითხი, რამდენად ისლავდა ტიპიკონთა კანონიკურობა ნაციონალიზაციის საშუალებას, საგალობელთა ნაციონალიზაციას შეეხება. ტიპიკონთა კანონიკურობის, აგრეთვე, ვალობის შინაარსის, სასიათისა და რეპერტუარის კანონიკურობის პრობლემა, დღემდეტურ მართლმადიდებლურ ეთნოლოგიის საეკლესიო კრებებზე მათი კანონიზაციის მიზნით ყოველთვის მსჯელობის საგანი იყო. ასე რომ, მთავარი მართლმადიდებლური კანონის დაურდველობა იყო. საუკუნეთა მანძილზე, ყოველი ერი, ეროვნული ფენომენის გათვალისწინებით, თავის საეკლესიო ცხოვრების კანონიკის ფარგლებში აწესრიგებდა და წარმართავდა. თვით ბერძნულ საეკლესიო ცხოვრებაში, ლიტურგიაშია და საეკლესიო ვალობაში ნაციონალიზაციის პროცესი საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა; ამგვარ ცვლილებებს მოხლოდა საეკლესიო კრებები კანონიკურად ცნობდა, ვინაიდან ყოველი სიძლიერე საეკლესიო ცხოვრების სრულყოფას ემსახურებოდა. VIII საუკუნეში პიმონოგრაფიაში წმ. იოანე დამასკელის მიერ ჩატარებული რეფორმების შემდეგ საეკლესიო ვალობაში თითქმის აღარაფერი შეცვლილა იოანე კუკუზელის რეფორმამდე [იხ. მეტრეველი, 1971: 063-064; მარტინოვი, 1994; ველეში, 1980]. წმ. იოანე დამასკელისა და წმ. კოზმა იერუსალიმელის რეფორმები საეკლესიო ვალობაში მყისვე აირეკლებოდა სხვა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკლესიის საღვთისმშობლო პრაქტიკაში. ამიტომ საფიქრებელია, რომ VIII საუკუნეში რეფორმები მიზნობრივად უკვე ჩვენსავე საგარეოდა, რადგან პალესტინურ და ბიზანტიურ წიაღში მიმდინარე ცვლილებებზე ქართველები ყოველთვის მალევე რეა-

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



გორებდნენ.

უიღრესად მნიშვნელოვანია ქართული პირობითი წიგნების მონაცემთა შესწავლა, რადგან მათში გარდა საკუთრივ საგალობელთა ტექსტისა, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენენ ანდერძ-მინაწერები, რომლებიც ქართული ქრისტიანული გალობის შესახებ უყარფისეს ცნობებს შეიცავენ და გვაწვდიან. საგანგებო უნდა აღინიშნოს „უკველესი იადგარის“ მნიშვნელობა ქართული და ბიზანტიური პირობითი გალობისა და გალობის ისტორიის შესასწავლად. მის გამომკვემელთა (ე. მეტრეველი, ც. ჭანკიევი, ლ. ხევსურიანი) აზრით, პალეოტიური ქართულ საგანგებოში არსებობდა უკველესი იადგარი, რომლის თავდაპირველი ვარიანტი უკვე VII საუკუნეში იყო შემუშავებული. იადგარის ტოლფარდი კრებული „ტროპოლოგონი“ ბერძნულ ენაზე არ შემონახულა, მის შესახებ ცნობა დაცულია სინურ იადგარში და მისი არსებობა V-VI საუკუნეებითაა განსაზღვრული. „უკველესი იადგარის“ გაქართულება უნდა შეხებოდა კრებულის არა მხოლოდ ავტორებს. სტრუქტურის, მსოფლიო ეკლესიის მიერ კანონიზებულ ქართული ეკლესიის წმინდანთა შესახებ ორიგინალურ საგალობელთა თხზვას, რომელთა ზედრითი წილი მინიშნული იყო, არამედ თვით გალობასაც, კერძოდ, გალობის ხმას, მელოდიას, კილოს. „უკველესი იადგარის“ შექმნის ძირითადი ეტაპები პირობითი საშეცხრო ლიტურატიურში ე. მეტრეველის, ც. ჭანკიევისა და ლ. ხევსურიანის მიერ ზედამხედველად და სკრუპულოზურ რადა გამოკვლეული. მათი კვლევა-ძიების შედეგად შესაძლებელი გახდა უკველესი იადგარის რეკონსტრუქცია, რომლის გამოცემას საფუძვლად ჭილ-უტრატის იადგარი [H-2123] დაედო. მათ იადგარის პირველი რედაქციის არქტიპული სახის ჩამოყალიბება VII საუკუნეში პალეოტიანის ქართულ საგანგებოში იფარაუდეს. ზემოხსენებულ ჭილ-უტრატის იადგარში საგალობელთა ქართული ფენაც შეინიშნება. ჭილ-უტრატის იადგარს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს წმ. გრიგოლ ხანძთელის დაწერილი „საქველიწო იადგარი“.

ივანე ჯავახიშვილმა მეტად საგულისხმო შეხედულებები გამოთქვა ქართულ და სხვა ქვეყნების პირობითი კრებულებში დამოწმებული ნეუმების რაობის შესახებ. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მიქელ შოდრეკილის დიდი იადგარი, სხვა ფაქტორებთან ერთად, იმთავითაა ცნობილი, რომ იგი ნევირებულია, რაც ზრდის მის ღირებულებას ქართული პირობითი განვითარების ეტაპებისა და გზის სრულყოფილად გასაჩინებლად. ე. მეტრეველმა გააჩვენა მიქელის ხელნაწერის ხასიათი, რაობა და აღინიშნა, რომ მისი ძირითადი დანიშნულება ყოფილა სასწავლო, ამიტომაც არის იგი ნევირებული. სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ, ხელნაწერთა აღწერილობებიდან უკვე ცნობილია, რომ ნევირებული სუმი რამდენიმე ხელნაწერს ყოფილა. როგორც პირობითი მითითებენ, ნევირული აღინიშნავდა ხმის სიძალიეს, ხანგრძლივობას. „ხმა-ჰელიცია-ნევირ“ არის ტრადია, რომელიც საღვთისმსახურ გალობის სულიერი და კონსტრუქციული საფუძველი გახდა და რომელიც განუყოფელ სამართიანობას ქმნის, ერთის გამოკლებით იგი უკვე კარგავს ხასრულეს. პირობითი ეკონოტეტიურ ნიშნებით ამჟღავნებს, მაგრამ გრაფიკული მოხაზულობით ისინი ერთმანეთსაჟან განსხვავდებიან. ივანე ჯავახიშვილმა დაიბოწმა თიბის (Abbé J. B. Thibaut) მოსაზრება, რომელმაც ქართულ ნევირ სისტემაში სულ 100 ძირითადი ნიშანი შენიშნა, მდებარეობის მიხედვით ისინი ორი ჯგუფად გაყო: სუთი სტრაქოსხედა, სუთი სტრაქოსხედა ნიშნები, რითაც ქართული ნევირ სისტემა განსხვავდება რომაულიაჟან. ამ პრინციპის გათვალისწინებით ქართული ნევირ სისტემა ბერძნულ ეკონოტეტიურ და პოლიტიურ ნიშნებს, ანუ იერუსალიმურს მიაბეჭდათ [თიბის მოსაზრება დამოწმებულია ივანე ჯავახიშვილის წიგნიდან: ჯავახიშვილი, 1998: 614-615]; ივანე ჯავახიშვილმა თიბის დამსახურებლად მისინა ის, რომ მან ქართული და დასავლეთ ევროპის, რომაული (ლათინური) საგალობო ნიშნების მსგავსება შეამჩნა: აგრეთვე, ქართული ნევირ სისტემის განლაგების სისტემის ბერძნულთან მსგავსებულობაც აღნიშნა (ჯავახიშვილი, 1998: 614-615). შემდგომში კვლევამ წარმოაჩინა ქართული, ბერძნული, ლათინური და რომაული ნევირ სისტემის არსობრივი სხვაობა. ქრონოლოგიური თვალსაზრისით ქართული ნევირ სისტემის მდინეული უკველესი სიმუშეში პალეოტიანური ნიშნების თანხვედა, ესაა X საუკუნე. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ტრადიციულ და სისტემა არსობრივად განსხვავებულია. ქართულ ხელნაწერებში, მაგ., სინურ იადგარებში, მიქელ შოდრეკილის იადგარში, ორიდანაც კლიპირთა და ღმრთისმშობლისანთა კრებულში, ნეუმები დამსხვავდა სტრაქოსის ზემოთ და სტრაქოსის ქვემოთ, რაც არც ბიზანტიური და არც სხვა ქრისტიანული ქვეყნების ნევირ დამწერლობით სისტემას არ ახასიათებს. ეს ფაქტი ქმნის ქართული და სხვა ქვეყნების მუსიკალურ ნიშნების შორის სხვაობას. ბიზანტიური საგალობლებს ნეუმები სტრაქოსის ზემოთ დაქმნილი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებენ, ბიზანტიურებში ნეუმებმა სისტემამ განვითარების საბი საფეხური განვლო

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



(დლომიძე, 2001), ხოლო ქართულ ნევმურ სისტემას საუკუნეთა განვითარებაში ცვლილება არ განუცდია, მან შინაარსზე თავისი არსებითი ხასიათი და პრინციპი – ნევმების სტრიქონსზედა და სტრიქონსქვედა განთავსება იმგვარად, რომ დაცულია ინტერვალები, რაც ამ ეკონოტიკურ ნიშნებს, ნევმებს სწორედ მუსიკალურ ნიშნებად აღგვაქვ მენინებს და არა სალექსო საზომად; ამით ის არსებითად განსხვავებულია ბიზანტიურისაგან. თუმცა, მათ განკვეთის ნიშნის ფუნქციაც აკასრიათ.

რაც შეეხება სომხურ სამგალობლო ნევმურ სისტემას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, იგი ქართულ-იერონულთან შედარებით საკმაოდ გვიანდელია. კერძოდ, ივ. ჯავახიშვილმა დაიბრუნა კრიაკოზ განძაკელის ცნობას იმის შესახებ, რომ სომხურში სამუხიკო ნიშნები პირველად პადარწინის მამასახლისმა, ზაჩატურ ტარონელმა XII საუკუნეში შემოიღო. აქედან გამომდინარე, ქართულ-სომხური სამუსიკო ნიშნების გრაფიკული მხვდაკების მოუხედავად, ნათლად დადასტურდა ქართული ნევმური სისტემის სიძველეს და არსებითი თავისებრივი სხვაობაც (ჯავახიშვილი, 1998: 614). XII საუკუნეში ქართული გალობის მრავალხმიანობა უკვე საკმაოდ დიდი ხნის ისტორიას მოითვლის, ხოლო სომხური გალობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე იყო და დარჩა ერთხმისა გალობად. საგალობო ნევმური სისტემის უძველესი ნიმუშები მოღწეულია X-XI საუკუნეების პიმნოგრაფულ-ლიტურგიკულ კრებულებში (Sin. 1, Sin. 14: S-425; A-603). ვარაუდობენ, რომ ქართული ნევმების სიმთავრეა შემუშავდა საბაწმინდის მონასტერში, ბიზანტიური პიმნოგრაფიის განვითარების უდიდეს კერაში, სადაც ქართული და ბიზანტიური პიმნოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენლები ერთად მოღვაწეობდნენ [წმ. იოანე დამასკელის რეფორმებითა დაკავშირებით ჩვენ დასვით კითხვა, ხომ არ იყო იოანე დამასკელი „ქმეანი გალობის“ ნევმატორიც. ე. ი. ხომ არ შემოიღო ნევმები, რაც ძალზე შორისმდებელი დასკვნებისაკენ გვიბძგებს. ბიზანტიურ პიმნოგრაფიაშიც არ არის ცნობილი X საუკუნემდე ნევმურული კრებულები საგალობლებისა, მაგრამ ეს იმას ანიშნავს, რომ ნევმობრება პირველად X საუკუნეში დაიწყო. ვფიქრობთ, იგი პიმნოგრაფიის განვითარების რეფორმების დროს დაიწყო და ასახავდაც. მითუმეტეს, შემონახულია ცნობა წმ. იოანე დამასკელის შესახებ, რომ ის საგალობლებს ნევმებს უსიხვდა. ამ თვალსაზრისის საფუძველს იძლევა კ. კეკელიძის მიერ გამოთქმული შეხედულება, რომელიც უშოთაც დაეფუძნებოდა და აქაც გათვითობით: „პიმნების გალობით შესრულებისას სახელმძღვანელოდ საეკლესიო პრაქტიკაში შედარებით ადრე იოანე დამასკელის დროიდან შემუშავდა საგანგებო ნიშნები, რომლებიც ხმის აწვედასწავასა და გავრძელებას უზენებდნენ, ერთი სიტყვით, თანამედროვე ნოტების ფუნქციებს ასრულებენ“ (კეკელიძე, 1960: 603)]. საგალობლების მუსიკალური ჩანაწერები გვიანდელ, XIX-XX სს. ხელნაწერებში დასტურდება, რომლებიც ფილიპონ ქორიძის, რაყდენ ხუნდაძის, ექვთიმე კერესელიძის, ძმები კარბელაშვილების მიერ არის შესრულებული.

საკიროდ მივიჩნია იმის აღნიშვნა, რომ ქრისტიანული კულტურის კვლევისას უბრველესად წყაროებს ვეყარებით, კერძოდ, ქრისტიანული ლიტერატურის კვლევა ხელს ხელნაწერებს და მათში შემონახულ სადვინოსმეტყველო ტექსტებს ფუნქცია, ფერწერისა - ფრესკულ ხელოვნებასა და ხატწერისა. არქიტექტურისა - საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ანსამბლებს. ეს საღვთისმშაბური და საღვთისმეტყველო დარგები მატერიალიზებული სახითაა შემონახული. საეკლესიო გალობის მუსიკალური რაობის მუსიკალური ფენომენის შესწავლისას განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რადგან დანამდვილებით არ ვიცით, როგორი იყო თავდაპირველად ქრისტიანული გალობა და განვითარების როგორი გზა განვიკო. ამას მხოლოდ წერილობითი წყაროები გადმოგვცემენ, მათში დაცული ცნობები კი ძალიან მწირია. გალობის შესრულება ერთჯერადი აქტია, ხოლო პიმნოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზე მისი ჩაწერა მხოლოდ მწებონური ხასიათისა იყო. გალობა ხომ ძირითადად ზეპირად გადაიცემოდა. მგალობლებმა ყველა საგალობელი ზეპირად იცოდნენ, რასაც ისინი სამგალობლო სკოლაში ეუფლებოდნენ. ცნობების უქონლობის გამო არ ვიცით, საგალობო პირობითი ნიშნებით შემკობა პიმნოგრაფიის განვითარების რომელ ეტაპზე უნდა მომხდარიყო, შესაძლოა, პიმნოგრაფიული რეფორმების დროს.

ამა თუ იმ ერის მუსიკა, მხედველობაში გვაქვს საეკლესიო გალობა, ეყარება იმ კილოთა სისტემას, რომელშიც იგი აზროვნებს, რაც მკვლევარებს, კერძოდ მაგდა ხუზიაშვილს, იმას აფიქრებინებს, რომ „ბერძნული პანგების გაქართულება ადრევე, ვერ კიდევ ერთხმისანი გალობის ფარგლებში, მრავალხმიანობის შემოღებამდე მოხდებოდა, რაც ნიადავს მოუშავდებდა ორიგინალური პიმნოგრაფიის შექმნასა და მის შემდგომ განვითარებას“ (სუხიაშვილი, 2001: 128).

V საუკუნის დასაწყისში საღვთისმშაბური წიგნები, მათ შორის ლიტურგიკულ-პიმნოგრაფიული კრებულები, კერძოდ, ლექციონარები, უკვე თარგმნილი იყო ქართულ ენაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ბერძნული

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



მელოდიების ქართულ ნადავზე ადამტირების პროცესი ლიტურგიული წიგნების თარგმნის პარალელურად დაიწყებოდა. ხოლო დასრულებით, თუ უფრო ადრე არა, არა უფვიანეს VIII საუკუნის დამდეგისა მანც უნდა დასრულებულიყო.

რას ნიშნავს ქრისტიანული გალობის გაქართულება? ქრისტიანული გალობის გაქართულება ქართული გალობისათვის ეროვნული მუსიკალური თვისებების მინიჭებას ნიშნავს. ქართული ეროვნული მუსიკის, წინარექრისტიანული გალობა-ხიმელის უმთავრესი თვისება კი მისი პოლიფონიურობაა. ამრიგად, საეკლესიო გალობის გაქართულება მის მრავალხმიანობაში გამოჟღავნდა. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მრავალხმიანობა ქართული მუსიკის ორსავე, საეკლესიო და საერო შტოშიც გვაქვს. დაუჯერებელია, რომ მრავალხმიანობა ერთსაცა და მეორეშიც სრულებით დამოუკიდებლივ გაჩენილიყო, ამიტომ ერთი მათგანი უნდა მრავალხმიანობის დამწყები და შემქმნელი იყოს, მეორე მის შემთვისებლად და დამწინაბრებლად არის საგულისხმებელი“ (ჯავახიშვილი, 1998: 663).

მეტწიერთა წინაშე დაისვა ასეთი კითხვა: მრავალხმიანობა ქართული შემოქმედებით გენისი ნაყოფია თუ იგი უცხოური. ძირითადად დასავლეთ ევროპის გავლენითაა შემოსული ქართულ სამყაროში. მოხრე ორივე თვალსაზრისს პყავდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ მრავალხმიანობა ქართულ ეროვნულ მუსიკალურ სიმდიდრედ და ღირსებადაა აღიარებული ქართველი და უცხოელი მუსიკათმცოდნეების უმრავლესობის მიერ. ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც განსაზღვრა ქართული სიმღერის მრავალხმიანობის არსობრივობა და ტრადიციულობა საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობისა და მდგომარეობის მიხედვით: „სამხრეთ-დასავლეთის გზითაც და ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებითაც, საქართველოს და იმ ქვეყნებს შუა, რომელთაგან მრავალხმიანობის გავლენის მომდინარეობა საგულგებელი იყო. ერთხმიანობის მქონებელი ტომებისა და ერების გრცელი მიწა-წყალია, რომლის მდებარეობა ასეთი გავლენის შესაძლებლობას გზასა და კვალს უკარგავს“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 645]. მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა „ფსიქურ გზასა და კვალს“; „ის, რაც ფიზიკურს არ დაუცავს. შესაძლებელია, ფსიქურს, სიტყვიერს სამყაროში იყოს აღბეჭდილი“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 645].

პიშნოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ წინარექრისტიანული საერო სიმღერა (ადრეულ საუკუნეებში მისეც გაბობნა) წმობდოდა. ძველი ქართული მუსიკალური ტერმინოლოგის შესახებ: [ჯავახიშვილი ივ., 1998: 662] მრავალხმიანობა იყო. ქრისტიანული რელიგიის შემოსვლისთანავე ქართული ეკლესიის ლიტურგიაშიც გალობამ დიდი ადგილი დაიკავა. თავდაპირველად იგი ერთხმიანი იყო, როგორც იმ ქვეყნების საეკლესიო გალობა, სადაც ქრისტიანობა შემოვიდა (პალესტინა, ანტიოქია, ბიზანტია, სომხეთი). ქართული გალობის ერთხმიანობა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და დამკვიდრების საწყის ეტაპზე კანონზომიერი იყო, ვინაიდან საღვთისმეტყველო ლიტერატურა და ლიტურგია შემოსული, შეხმნილი იყო. რაც ქართულ ეკლესიას ქრისტიანობის კერის (პალესტინა, საბერძნეთი) მიმართ ერთგულებას ავალბებულებდა. მსუ ლოკური იყო, რომ ახალი რელიგია, ანუ ქრისტიანობა, წინარექრისტიანული რელიგიას ისევე უპირისპირდებოდა საქართველოში, როგორც სხვა ქვეყნებში. ივანე ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა საეკლესიო და საერო-წარმართულ მუსიკას შორის ბრძოლაზე: „იერიშის მიმტანი გამარჯვებული და ძღვეპისილი ეკლესიის მუსეუერის იყენდა. წარმართობა და მას თან დაკავშირებული გალობა და საერო დღესასწაულებთან და გართობასთან დაკავშირებული სიმღერა კი დეყნილი და კეთლიორწმუნეთათვის აკრძალულიყო კი იყო“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 663]. ცხადია, ქრისტიანული გალობა თანდათანობით, საუკუნეების მანძილზე მგვიდრდებოდა ქართულ ეკლესიაში და ვეუებოდა ქართულ ეროვნულ ხასიათს. საეკლესიო გალობა უთოიდ უნდა გამწდარიყო ქართული მუსიკალური ფენომენის ორგანული ნაწილი. საეკლესიო გალობის მელოდაა, პაიგი, რომელიც უცხო გარემოში ხვდება, ეეუება ვარემოს და ეროვნულ ნიშნებს იძენს. ბიზანტიური გალობა შევიდა არა მხოლოდ ქართულ, არამედ სხვა ქრისტიანული ქვეყნების ეკლესიებში და ადამტაკია განიკალი. შეეევა ახალ მსაყარის ისე, რომ კანონიურობა არ დარღვეულა.

ივანე ჯავახიშვილსა დასვა საკითხი იმის შესახებ, თუ როდის შეიძლება დაცილებოდა ქართული საეკლესიო გალობა ბერძნულს: „ქართული სასულიერო მუსიკის თვისებურების ჩამონაკეთილობის ხანის განსაზღვრისათვის უნდა ვყოფდეთ, თუ როდის უნდა დამორბოდა ქართული გალობის წესი და საცალობელთა პანგები ბერძნულ წესსა და პანგებს“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 598]. სწორედ ამის თაობაზე წერდა ივანე ჯავახიშვილი: „გამარჯვებულს ქრისტიანობის წარმართული წმეყვეულებების მთლიანად აღმოსაფხვრელად ხალხში ვარწმუნებელი პანგებიც კი გაბოუწყსება საეკლესიო საგალობლების სიტყვებისათვის. გამარჯვებულისათვის (თუ პანგე კი არა, არამედ მისი სიტყვები იყო) შეუწყსარებელი, ხოლო, როდესაც ძველ პანგს

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



საეკლესიო საგალობლის სიტყვებს მომარჯვებდნენ, პანგი უკვე ეკლესიისათვის არავითარ განსაცდელს არ წარმოადგენდა. როგორც ჩანს, საქართველოშიც ასევე უნდა იყოს მომხდარი და ამავე გზით უნდა იყოს ხალხისათვის ჩვეული წარმართულ-საერო სიძღვრების პანგები და ორ-სამხმარიანობა ქართული საეკლესიო გალობის მიერაც შეთვისებული“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 664]. აქ გამოთქმული მოსაზრებები სამეცნიერო ლიტერატურაში გახსნივადი და მიღებულია, თუმცა ქართულ საეკლესიო გალობაში მრავალხმანიანობის შესვლის მოტივების ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, ქართულ საეკლესიო გალობაში წარმართული რელიგიის პანგების გადასვლა, დახუსტებას მაინც უპირობებს. საფიქრებელია, რომ წარმართული რელიგიის არა მხოლოდ საკულტო ლიტერატურასა და გალობათა სიტყვებს, საეკლესიო გალობა წარმართული გალობის პანგაც ვერ მიიღებდა, ქრისტიანობასა და წარმართობას შორის ბრძოლა მრავალმხრივ უნდა წარმართულიყო და, ცხადია, გალობაშიც იქნადა თავს. ოღი ანგარიში უფრო, ალბათ, საერო სიძღვრებას გაუწევდა. ჩვენი ვარაუდით, ქართული საეკლესიო გალობის გამოლიფონიურებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საერო სიძღვრების მრავალსაუკუნოვან მრავალხმანიანობას. ქართველი კაცის სმენა მიჩვეული იყო მრავალხმანიან სიძღვრებას და, პალესტინური, ბერძნული, სომხური ქრისტიანული გალობის ერთხმანიანობის კანონიკურობის მიუხედავად, ვერ იტოვებდა ერთხმანიან გალობას. ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა მრავალხმანიანობა, როგორც ქართულ ორიგინალურ პიმნოგრაფიაში ქართული ლექსის მრავალ საუკუნოვანი ფორმები, კერძოდ, თქვესმეტ-მარცვლოვანი შაირი. ფსიტაკაური და სხვანი [ხილაგაძე, 1997; დიპაშვილი, 2002-2003].

„მოქცევადა ქართლისა“ და წმინდა ნინოს „ცხოვრების“ სხვა რედაქციები ერთხმად მოუთხოვენ, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ საქართველოში მოიწვიეს ბერძენი ღვთისმსახურები, რათა ქართველებს ღვთისმსახურება ესწავლათ. ეს პროცესი IV საუკუნეში იყო მოსალოდნელი. მაგრამ ქართველი უცხო ენაზე ადარებულად ლიტურგიას დიდხანს ვერ იტოვებდა ენის უცოდნობის გამო. ამიტომ ქართველთა შორის მოხალისედას სასულიეროთა ფენა, რომელსაც ლიტურგიის ადარებულება შეეძლებოდა, შესაბამისად, თარგმნეს წმინდა წერილის წიგნები, ის საეკლესიო საეკლესიო ლიტურგიები, რომელსაც აუცილებელი იყო ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესასრულებლად. ცხადია, ლიტურგიის ქართულ ბუნებასთან შესაბამისად დაიწყო. V საუკუნეში უკვე ქართველი სასულიერო პირები ატარებენ წარვალოცვას. ხოლო ბერძნულენოვანი ცხოვრება უფრო ადრეცა დაწყებული.

ქართულ საეკლესიო გალობის გამრავალხმანიანობა მოსალოდნელია არა უგვიანეს VIII საუკუნის I ნახევრისა. როდესაც ბიზანტიური პიმნოგრაფიაში უკვე დამთავრდა რეფორმა, რასაც საქართველოშიც პქონდა ადგილი. თუმცა ოღი შეიძლება ადრინდელიც იყოს, ვინაიდან IV საუკუნის დასაწყისში გაქრისტიანებული საქართველოს ეკლესიის მრევლი, რომლის სმენა საუკუნეების მანძილზე მრავალხმანიანობას, მრავალხმანიან საერო სიძღვრებასა და წარმართულ გალობას. იყო შეჩვეული, დიდხანს ვერ იტოვებდა ერთხმანიან გალობას და მასში უთუოდ ადრევე შეიტანდა ეროვნული მუსიკალური საზაროფიო სისტემის უნიკელეს, მთავარ მახასიათებლებს – პოლიფონიურობას. ეს მოსალოდნელია მეთოხე საუკუნეშივე იყო, როგორც კი წმინდა წერილის უპირველესი წიგნები ქართულად ითარგმნებოდა და ლიტურგია გაქართულდებოდა.

როდესაც გიორგი მერჩულე გვაქცნობს, რომ ამჟამად (მწერლის ეპოქა იგულისხმება) ხანძთაში ინახება სულაქსმინის მიერ გრიგოლის ხელით დაწერილი საწელიწადო იადგარი, ფაქტობრივად, გაუწევებს ქართული ორიგინალური პიმნოგრაფიულ-ლიტურგიული კრებულის შექმნას, რომელიც ამითაა მნიშვნელოვანი, რომ ის არის წმ. გრიგოლ ხანძთელის მიერ ჩატარებული ლიტურგიული და პიმნოგრაფიული რეფორმის შედეგი უნდა ყოფილიყო, რაც ტიპიკონისა და საწელიწადო იადგარის შედგენით გამოვლინდა. წმ. გრიგოლ ხანძთელმა ღვთისმსახურება, საეკლესიო ცხოვრების ტიპიკალური წეს-კანონები და პიმნოგრაფიაც ეროვნულითაა გააშინაარსა. ბიზანტიაში მისი მოგზაურობა ქართული ეკლესიის ინტერესებით იყო ნაკარნახევი, რადგან მან ტიპიკონი და ლიტურგია გააქართულა. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, „გრიგოლი მთელი საეკლესიო გალობის ისეთ მცოდნე ბიზანდ და მასწავლებლად ყოფილა მიჩნეული, რომ ყოველი მისი ამ დარგში მოძღვრება და მითითება უცილობელ ჭეშმარიტებად ითვლებოდა“ [ჯავახიშვილი ივ., 1998: 605].

ჩვენი ვარაუდით, გრიგოლ ხანძთელის საწელიწადო იადგარი იყო პირველი ნეუმირებული იადგარი, ხოლო გრიგოლ ხანძთელი – პირველი მესელი. ამიტომ აღნიშნავს ასე ზახვასმით გიორგი მერჩულე გრიგოლის მიერ საწელიწადო იადგარის შექმნას. მწერლის სიტყვები: „ქართულითა ენითა ფაში შეიწერის... ხოლო „კერძოელის“ ბერძულად ითქმის“ – მოქმობს იმას, რომ ქართული ეკლესიის ღვთისმსახურება მთლიანად გაქართულდებულა, ეროვნულითაა გაშინაარსებული. მხოლოდ „კერძოელის“ „ბერძულად თქმულად“ შემორჩენილი ბიზანტიური გალობის კვალობაზე. ქართულ ენაზე წირვა და „კერძოელის“ ბერძულად

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



თქუმა ერთმანეთს უბრძანებდებოდნენ, დაპირისპირების საფუძველი მხოლოდ ენა არ არის, ოგი არსობრივია, რაც წირვისაჲს ქართული ვალობების მრავალხმიანობაში და კურიელების ერთხმად შესრულებაში გამოისახება. რაკი გიორგი შერნულე ორივეს ასახელებს დაპირისპირებულად, მაშასადამე, დაპირისპირების მიზნეიც არსებობს. სხვაგვარად დაპირისპირება აზრს კარგავს. „ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის“ და „კურიელი-სონი“ ბერძულად თიქუმი“ ერთმანეთისგან განსხვავდებიან. სხვაგვარად აქტორი არც განასხვავებდა მათ ერთმანეთისაგან. არსებობს განსხვავება და ოგი დაპირისპირებულად გადმოცემა.

ჩვენი ვარაუდი ქართული ვალობის გამრავალხმიანებისა და მისი ისტორიის, ნეგების შემოღებისა და პრაქტიკაში დამკვიდრების შესახებ. ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: გრიგოლ ხანძთელმა შექმნა მესური საწე-ლიწლო იადვარი. შემკული მუსიკალური ნიშნებით, ანუ ნეგებით, ყოველივე ამის შემოქმედი თვითონ უნდა ყოფილიყო. ნეგირება განაპირობა ორმა ფაქტორმა: I. VIII საუკუნის დამდეგიდან იოანე დამასკელის მიერ ჩატარებული რეფორმის შედეგად ბერძნულში დაიწყო სავალობელთა ნეგირებული ჩაწერა მისი უკეთ დას-სომების მიზნით; 2. საქართველოშიც ნეგირება განაპირობა ქართული ვალობის განსხვავებულმა ხასიათმა სხვათაგან. კერძოდ. ბიზანტიური, სირიული, სომხური ვალობების ხასიათისაგან, რომლებიც ერთხმად იყო და ასეუად დარჩა. ხოლო ქართული ვალობის განსხვავებულობა მისი მრავალხმიანობა იყო. გრიგოლმა თავისი შექმნილი საწელიწლო იადვართი დააკანხა უკვე საუკუნეთა მანძილზე არსებული, ვარაუდით VIII საუკუ-ნის დასაწყისიდან. ქართულ ვალობაში შესული მრავალხმიანი ვალობა, რომლის ტერმინოლოგია ქართულ პანორაფიაში X საუკუნიდან იქმნება, ხოლო საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თვალსაზრისით XII საუკუნეში განაზოგადა იოანე პეტრიწმა [სულაია, 2003: 23-52].

ამ ვარაუდს კიდევ უფრო განამტკიცებს ქართული ლექსისა და ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიული ეტაპების გათვალისწინება. ჯერ ქართული ლექსის შესახებ. ქართულ ლექსშიც ოდნეობაში მრავალგზისა აღიარებული ქართული საღვთო ფორმების არქაულობა. ისიც აღნიშნულია, რომ მათი გამოყენება და განვითარება წერილობით სალიტერატურთა ძეგლებში თითქმის შეწყვეტა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებისა და დამკვიდრების შემდეგ. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური მასალის მიხედვით, IX საუკუნემდე უკანასკნელ წლებში ათლონ სილაგასემ ძველი ქართული ლექსისა და ქართული პოეზიის უკუდასა დახვეწის პრობლემის შესწავლისას საგანგებო ყურადღება მიაქცია ქართული ლექსისწიქობის სისტემის ასახვის გაცოცხლებით უფრო სველ შემთხვევებს, შემონახულს სასულიერო მწერლობის, მაგრამ არა პოეზიის. არამედ პროზის წიადში. უძველეს პროზაულ ტექსტებში დაცულია უძველესი ქართული ლექსითი ნიმუშები [სილაგაძე, 1997]. მისი დასკვნით: „ამ დროისათვის, როდესაც გვაქვს პროზაულ ტექსტში ჩართული პირველი ნიმუში საღვთო სტრიქონისა, ქართული ლექსისწიქობის სისტემა დიდი ხანია მოქმედა“ (სილაგაძე, 1997: 118). ამასთან დაკავშირებით თეოფრას დოიაშვილი წერს: „ათლონ სილაგაძის კონცეფციას ერთი საღვთო სტრიქონის ციტირების ტრადიციაც განამტკიცებს. ერთი საღვთო სტრიქონის მოყენება პროზაულ ტექსტში აშკარად მოუთხოვს. რომ ოგი აღიქმება უკვე არსებული, მოქმედი საღვთო სისტემის ფონზე, რომ V-VII საუკუნეებში ქართული ლექსისწიქობის სისტემა კარგა ხნის რეალიზებული ჩანს“ [დოიაშვილი თ., 2002-2003]. სათელი სდება, რომ ქრისტიანული ლიტერატურის გავლენით ქართული ლექსისწიქობის უძვე-ლესი ფორმები უარყოფილია, მაგრამ ეწ. „წარმართული შინაარსი“ გადმოსაღებად მიანც გამოიყენება, თუცა ძალზე იშვიათად. ქრისტიანულ ლიტერატურას ქართულ საყაროში დახვდა მდიდარი ლიტერატურული ტრადიცია. უძველესი საღვთო ფორმები, რომელთა გავრცელების არეალი უთოდ მწერლობა უნდა ყოფილიყო ფოლკლორით ერთად. საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებიდან მოყოლებული აღდომინე-ბამდე, მთლიანად არ იყო უარყოფილი საერთო პოეტური ფორმები და სახომები და ისინი ფრამენტულად, იშვიათად მიანც იმენდენ თავს ქრისტიანული ლიტერატურის წიადში.

საუკლისში დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ძველი ქართული ხელოვნების, კერძოდ, ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიული ეტაპების დამახასიათებელი ნიმუშების გათვალისწინება. ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშები, ერთი მხრივ, თავად ასახავენ წინარქრისტიანული ხუროთმოძღვრების, არქიტექტურის განვითარების გარკვეულ საფერებებს და ტრადიციებს, მეორე მხრივ, თავად გველენებიან ახალ ტრადიციათა ფუქმდებლად. ამას ეფუძნება ვახტანგ ბერიძისეული პერიოდიზა-ცია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისა [ბერიძე, 1974: 16-17]. ასევე უადრესად საინტერესოა ქართული ტაძრების აგების პრინციპები, რომლებიც ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში წინაქრისტიანული, ანუ ელმური და ელინისტური მოტივებისა და მეთოდების შემოტანით ქრისტიანულ ტაძრებში სიხლესა და ტრადიციას ერთდროულად წარმოაჩენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იშხნისა

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



და ბანას ტაძრების არქიტექტურა. ქრისტიანულმა სუროთმოდგრებამ შეითვისა და დააკანონა ანტიკური სუროთმოდგრების ის ფორმები და მოტივები, რაც ქრისტიანულიანათვის მისაღები იყო და რომელთა სიმბოლური გადააზრებით სუროთმოდგრული ანამბლები სრულყოფილ, პარმონოულ სახეს იღებდნენ.

ასევე მოხდა საეკლესიო გალობამაც. ქართული საღესქო ფორმების დარად, რომლებიც VI საუკუნიდან უკვე შედის საღესქომეტყველო ლიტერატურაში, IX საუკუნიდან პიმონორაფიაში, ხოლო ქრისტიანულ სუროთმოდგრებაში VII საუკუნიდან თავს იჩენს ბერძნულ-რომანული არქიტექტურის მოტივებს, თემების რემონისცენები, საეკლესიო გალობამაც ადრე, არა უგვიანეს VIII საუკუნის დამდგისა მიღო, შეითვისა და IX საუკუნეში უკვე დააკანონა მრავალხმიანობა. ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობისა და ქართული საღესქო საზომების, ქართული პოეზიის უძველესი საფენურის პრობლემათა პარალელურად კვლევამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქართულ ქრისტიანულ კანონიკურ პიმონორაფიაში წინარექრისტიანული ანუ წარმართული დროის საერო სიმღერისა და უძველესი ქართული საღესქო ფორმების ძირითადი ეროვნული გამომდინარეები შეყვანა: მრავალხმიანობა და ქართული ღესქის საზომები, რაც ქართული ეროვნული ფენოების სიმღერეზე მეტყველებს. საერო ელემენტების ოროთმოქმედ ლიტერატურაში, პავიონრაფიაში შექრაც ამავე რიგის გამოვლინებად მიგვანჩა.

ივანე ჯავახიშვილმა X საუკუნეში შესულად და XI საუკუნეში რეალურ ფაქტად მიიჩნია, „გოორგი მთაწმიდელის „კხოვრების“ მონაცემთა მიხედვით, ქართულ გალობაში შებანებისა და ხმის შეწყობის პრაქტიკის არსებობა [ჯავახიშვილი ივ., 1998: 662], რაც XII საუკუნეში პეტრიწის მიერ მუსიკალური ტერმინოლოგიის შემოღებით გამოხატდა. XII საუკუნეში ტერმინთა - „მზახრ, ყირ, ბამ“ - არსებობა თავისთავად მიუთითებს ქართული გალობის სამხმიანობას. საბას განმარტებით. მზახრ არის მსხირბანე, ანუ მაღალი ხმა, ყირ - „საკრავთ ძალი მსხირბანესა და ბამს საშუალი“, ბამი - „აღესი ბოხი ხმა“. ქართული მუსიკის ისტორიის სპეციალიისტებმა პეტრიწის მსჯელობა მუსიკის შესახებ საგანგებოდ შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ მასში („მზახრ, ყირ, ბამ“) წარმომრდება ქართული გალობის სამხმიანობის ეროვნული საფუძველი (გვ. ჩხუკაძე). მ. იაშვილმა შეაფასა პეტრიწისეული ცნობის მნიშვნელობა ქართული მუსიკის ბუნების განსაზღვრისათვის და აღნიშნა, რომ ქართული მრავალხმიანი გალობა არსებითად და თესებრეად განსხვავდება ბერძნულისაგან [იაშვილი, 1975: 37]. რევაზ სირაძემ პეტრიწის ეს ცნობა ქართული მუსიკის სამხმიანობის დამდასტურებელ უძველეს მოწმობად მიიჩნია [სირაძე, 1987: 127]. მუსიკათმცოდნე ნინო ფარცხალავამ პეტრიწის მიერ „დანახული“ ქართული სამხმიანობა, ანუ „მზახრ, ყირ, ბამ“ სამეხასთან - მამა, ძე, სულიწმიდის ერთანსებასთან - დააკავშირა [ფარცხალავა, 2002: 102].

ვინაიდან ყოველი თეორიული დებულება ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილებისგან ზოგადების შედეგია, ამიტომ „მზახრ, ყირ, ბამის“ ერთება ქართულ მუსიკალურ აზროვნებაში საღესქომეტყველო ცნობერების შედეგად მიღებული რომ არ იყოს, მას ითანე პეტრიწი თეორიული მსჯელობის საფუძველად არ განსდიდა, რაც იმავე მიუთითებს, რომ ქართული საეკლესიო გალობის მრავალხმიანობა პეტრიწამდე კარგა ხნით ადრეა კანონიზებული.

ყოველი ერის სააზროვნო სისტემა, გამოხატული სიტყვით. ფერით. მუსიკალური ბერით. პლასტიკით. ემყარება თვით ერის „ფიქსურის გზასა და კვალს“ (ივანე ჯავახიშვილი). ის, რაც წერილობით. ეპოგრაფიკულ. სუროთმოდგრულ. ფერწერულ ძეგლებს არ დაუტაცეს, შესაძლოა, დაკული იყოს არამატერიალური სფეროში, გალობა-სიმღერაში, ცეკვაში. ამიტომ, ამა თუ იმ ერის მუსიკალური ფენომენი ემყარება იმ სისტემაში, რომელშიც იგი აზროვნებს, რაც იმას ნიშნავს, ბერძნული საეკლესიო მულოდების გაქართულება ადრევე დაიწყო, ამან კი შედეგად ქართული გალობის მრავალხმიანობა მოიტანა. ქართული ოროგანალური მრავალხმიანი გალობის წარმოშობას წინ როული და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდი უძლოდა; ეს იყო ყოველივე ქრისტიანულის გაქართულების პერიოდი, მათ შორის გალობისა. მრავალხმიანობა ქართველი ერის მუსიკალური სააზროვნო კატეგორიაა. რომელიც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (326), რაც შეიძლება ადრე უნდა შესულიყო ქართულ საეკლესიო გალობაში. ქართულ საეკლესიო გალობაში მრავალხმიანობა, რომელიც წინარექრისტიანული მუსიკალური კულტურის არსებითი ნიშანი იყო, ადრევე შევიდა, იმ დროიდან მაინც, როდესაც ბიბლიური წიგნები უკვე თარგმან და პირველი ქართული ოროგანალური საგლობლები შეიქმნა. ქართული გალობის მრავალხმიანობა რომ კანონიკური არ ყოფილიყო, გოორგი მთაწმიდელი ანტიოქიის პატრიარქთან პოლემიკისას ასე თამამად ვერ იტყვდა: „...წმიდათა მოციქულთა წინააღმდეგული ვართ და ვინაშთაან ერთი დმერთი გცნობთეს არადა უარ-უკყოფიფეს და არცა ოდეს ვაგალებსა მიმართ მიდრეკულ არს ნათესავი ჩუნი. და ყოველთა უარის-ყოფელთა და მწკარე-

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



ბელთა შეიარაღებუთ და ვსწყვეთ ამის საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქაღ-  
აუებათა ზედა წმიდთა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“ [ქეღლები, 1967: 154]. მისი ეს სიტყვები, ცხადია,  
პანორაფიის კანონიკურობასაც, გალობის ქართულობასაც, ანუ მრავალზმანობასაც გულისხმობს. ათონის  
იგრიონის მონასტრის ერთ-ერთმა წარმატებულმა მოღვაწემ აღნიშნა ქართული ეკლესიის საუკუნეობრივი  
დაზოკიდებლობა და სამოციქულო წილხვედრილობა. წმ. გიორგი მთაწმინდელის ანდერძ-მინაწერები და  
გიორგი მცირის „წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები გვაძენობენ და უტყუარად გვი-  
დასტურებენ, რომ ამ დროს ქართული გალობის მრავალზმანობის საწყისი საუკუნეები მიღმაა სამიებელი.

ქართულ საზეაროში მრავალზმანობის გენეზისის პრობლემის შესწავლა ივანე ჯავახიშვილის ფუნდა-  
მენტური შრომის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა. ამჟამად ფართოდაა გაშლილი ქართული  
გალობის მრავალზმანობის გენეზისის კვლევა და მისი მიმართების დადგენა მრავალზმანო საერო სიმღერასა  
და წარმართობის დროინდელ გალობასთან. ქართული გალობის მრავალზმანობის განვითარების ეტაპების  
შესწავლა განაგრძეს პროფესორანლა მუსიკისმცოდნეებმა, ეთნომუსიკოლოგებმა, სხვა დარგის სპეციალი-  
სტებმა პ. ინგოროყვამ. გრ. ჩხიკვაძემ. მ. იაშვილმა, ი. ფორდანიამ, ნ. შაისურაძემ, მ. შილაკაძემ, ზ. ჭავჭავაძემ,  
დ. დოლიძემ, მ. იოსიტიშვილმა, მ. ხეთიაშვილმა, მ. ერქვანიძემ, მ. ხუხაშვილმა, ნ. ფირცხალავამ, დ. შუღ-  
ლაიშვილმა. თ. გაბისონიამ და სხვებმა, რომელთა შრომებში დასაბუთებულია ქართული საეკლესიო გალობის  
არქაეოლოგია და კავშირი წინარექრისტიანულ მუსიკალურ სისტემასთან.

ამრიგად, ქართველი ერის მუსიკალური აზროვნება ისევე ძველია, როგორც ქართული სიტყვა, ლექსი,  
ცეკვა. მათაოეტრული სამყარო, ფოლკლორი. ღმერთმა ქართველი ერი გამოარჩია იმით, რომ პოლიფთ-  
ნური საერო სიმღერა და საეკლესიო გალობა მანიაჭა. მრავალფეროვნება ქართველი ერის აზროვნების,  
მისი ერთგული ცნობიერების, შინაგანი სულიერი სამყაროს გამოვლენებაა. სააზროვნო სისტემაა. ქართულ  
საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა წინარექრისტიანული მრავალზმანობის ტრადიცია, როგორც ქართული  
პანორაფიული პოეზიის წიაღში საგალობელთა პარალელურად არსებული ქართული ლექსის უძველესი  
ფორმები. სეროთმოდერნებაში – ანტიკური ელემენტები, ქართულ ჰაგიოგრაფიაში – სამიჯნერო ამბები.  
ქართული ქრისტიანული გალობა უნდა გამრავალზმანებულები იმ დროს, როდესაც ეროვნული ცნობიერება  
საქართველოს მოაზრებდა მთლიანობაში. საშემოებდა არსებობდა უძლიერესი ქრისტიანული იმპერიის – ბი-  
ზანტიის მხრიდან. რომლის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ორიენტაცია და გეგმა, სხვებთან ერთად, ეროთორწ-  
მუნე საქართველოს ბიზანტინიზაციის ოცავლისწინებდა. ამიტომ იყო აუცილებელი ყოველივე გაქართველება.  
რათა ქართველი კაცის ცნობიერება ეროვნული იდეით, ქართველური ტომების შემკრები იდეით განმტკიცე-  
ბულიყო. ეკლესია-მონასტრებში ქართულ ენაზე შესრულებული წირვა-ლოცვით ქვეყანა ძლიერ ქრისტიანულ  
სასილმწყოლად ჩამოყალიბებულიყო, საქართველოში ყოველივე ეროვნული აღორძინებულიყო, რაც ნათლად  
და ცხოვლად შეგრძნობინებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებს ერთმანეთის ნათესაობასა და  
სხვა სახელმწყოითაგან განსხვავებულობას.

გამსყენებული ლიტერატურა:

1. ბერძენი ვ. ძველი ქართული სეროთმოდერნება, თბ., 1974.
2. ბერძენი, 1981: В. В. Беридзе, Архитектура Тао-Кларджети, Тб., 1981.
3. ვახარია ე. ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962.
4. დონაშვილი თ. პათოთეზიდან თეორიაშიდე. ვახ. „ჩენი მწერლობა“, 2002-2003, № 52.
5. დოლიძე დ. დოგმა და ტრადიცია საეკლესიო მუსიკაში, კრ. ქართული საეკლესიო გალობა. ერი და  
ტრადიცია. თბ., 2001.
6. ერქვანიძე მ. ქართული მრავალზმანობის ბუნება. ფორმათა ერთიანობის შესახებ. სასულიერო და საერო  
მუსიკის მრავალზმანობის პრობლემები. ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწყოლო კონსერვატორიის  
სამეცნიერო შრომების კრებული, მამღანილი ქრისტიანობის 2000 წლისთავისადმი. საერთაშორისო კონფერ-  
ენციის მასალები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. თბ., 2001.
7. E. Wellesz. The History of Byzantine Music and Hymnography, Oxford, 1980.
8. იაშვილი მ. ქართული მრავალზმანობის საკითხისათვის, თბ., 1975.
9. ინგოროყვა მ. გიორგი მერნულე, თბ., 1954.

# კარი პირველი ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობა



10. კარბელაშვილი პ. ქართული საერო და სასულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა, ტფილისი, 1898.
11. კარტაშვილი, 2002: А. В. Карташова, Вселенские соборы, СПб, 2002.
12. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.
13. К. С. Кекелидзе, Грузинская версия арабского Жития Иоанна Дамаскина. ეტუოდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VII, თბ., 1961.
14. Мартынов, История благослуженного пения, М., 1994.
15. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, I-II, ილია აბულაძის რედ., თბ., 1966.
16. სილაგაძე ა. ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა, თბ., 1997.
17. სირაძე რ. ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1987.
18. სულავეა ნ. „ქართულითა ენითა ჟამი შვიწირვის“, ლიტერატურული ძიებანი, XXIV, თბილისი, 2003.
19. სუხიაშვილი მ. ქართული ორიგინალური პიმნოგრაფიის ისტორიული განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ. კრ.: სასულიერო და საერო მუსიკის შრავალხმმანობის პრობლემები, თბ., 2001.
20. უსპენსკი, 1965: П. Успенский, Древнерусское певческое искусство. М., 1965.
21. უძველესი იადგარი, გამოსაცემად შოამზადეს. გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელენე მეტრეველმა. ცაცა ჭანკიევა და ლილი ხევსურიაძმა, თბ., 1980.
22. ფირცხალავა ნ. „მზარი, ჟირი და ბამის ერთობა შეყოყნებისას“ შესახებ ივანე პეტრიწის „განმარტებაში“, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი Academia. თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია. 2002, № 4.
23. ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები, თბ., 2002.
24. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად შოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჩაიაშ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიაშ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963-1964.
25. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გამოსაცემად შოამზადეს ილ. აბულაძემ, ნათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევა და ც. ჯღამაიაშ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.
26. ჯავახიშვილი ივ. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თხზ. XI, თბ., 1998.
27. ჯავახიშვილი ი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ. VIII, თბ., 1977.



Irma Ketskhoveli, Nestan Sulava

### Ivane Javakhishvili and Georgian Chanting Polyphony Problem

In the history of studying Georgian culture, as in all other fundamental, solid study of Georgia, Ivane Javakhishvili took main part and was the one who dedicated his fundamental research to investigate the main aspects of Georgian music though in “Main tasks of Georgian Music History” in 1938 years. He prepared the right methodological base for the full study of music nature of Hymnography. In our article we introduce the main thoughts of Ivane Javakhishvili regarding the problems of Georgian music system, for this he accumulated thinking of some Georgian and foreign authors and the theories of some genesis of Georgian music. His attitude to Georgian music genesis, about the differences of Georgian music from other Greece, Armenian and Syrian system of music, after some main research works of other professional scholars and investigating new roots were become more popular and important.

The question given in scholarship witting: Where does the polyphony of Georgian music comes? Is this the result of Georgian creativeness or is this the influence of other foreign Western Europe culture? Ivane Javakhishvili gave the answer and claimed that it is the very Georgian case. He attracts his attention on the national aspect of Georgian hymns which were polyphonic at the same time. After some research on materials from manuscripts he claimed that after few centuries the Christianity will be claimed as a state religion in Georgian polyphony of Georgian songs were established (Javakhishvili, Main Aspects of History of Georgian Music, Tbilisi, 1998, 437-677). Ivane Javakhishvili defined meaning of polyphony of music and traditional nature of songs according to the geographical political place and situation of Georgia and paid main attention to the “psychical way and the track” of Georgian nation and said that “what was not able to survive physically, may be saved in language, in psychical world” (Javakhishvili, 1998. 645). According to his thoughts, in X century Georgian hymns were polyphonic which is well-founded on the base of the real sources. Next stage of investigation showed that the process of polyphonic must be started earlier, especially in the period when the translation for holy writings has started. The basis of this statement is in the above mentioned works of Ivane Javakhishvili. For this reason no scholars can be successful on the way for research of problems of Georgian music culture unless they work on abovementioned research of scholar.